საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №20(250) 2021 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 1 ლარი

„ქართული ოცნების“ მხარდასაჭერი აქცია

თბილისში 27 ოქტომბერს "ქართული ოცნების" მხარდასაჭერი აქცია გაიმართა. პარტიის შემაჯამებელი აქცია, რომელიც თავისუფლების მოედანზე გაიმართა, 17:00 საათზე დაიწყო. აქციას მოქალაქეები შეუერთდნენ სხვადასხვა რეგიონიდან.

აქციაზე შეკრებილებს სიტყვით მიმართეს "ქართული ოცნების" ლიდერებმა, მათ შორის, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ და თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ.

მათ მოქალაქეებს 30 ოქტომბერს, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურზე მისვლისკენ მოუწოდეს.

ჩაირთვლიანა კახეთმა

კახელები

ურიცხვი ვარამის მნახველები,
სხედან, ბუბუნებენ დინჯი კახელები.
არაპირმოთნე და საქმენადდები,
სხედან, მკერდსა შინა პატარა ნადმებით.
თითქოს აფასებენ ნაჯაფ-ნახელავებს,
დროდადრო კოჟრიან ხელებს
დახედავენ,
დროდადრო,თითქოს და ოცნებას
აპურებენ,
ზეცას კრძალვითა და კდემით
აჰყურებენ.
ალაზნის ველივით დაფიქრებულები...
დამუნჯებულები, სათქმელით
ულევით...
მაგრამ, გახელებაც იციან კახელებმა,
აჰა,ალავერდი,სიდინჯე,
გახევება...
თუმცა უწყიან, რომ სოფელი
წამიერობს,
მაინც მღერიან:"მრავალჟამიერო",
ათასი ჭირისა და ვარამის მნახველებო,
ეს თქვენ გაგიმარჯოთ, ძმებო, კახელებო!

გელა შალვაშვილი

Covid-19-ის საწინააღმდეგოდ

ვროექტი: ვაქცინაცია ადგილზე ხდება

ვაქცინაციის მარათონის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებს: ***მანავსა და პატარძეულს*** ჯანდაცვის ***მინისტრი ეკატერინე ტიბარაძე, მინისტრის პირველი მოადგილე თამარ ბაბუნია*** და ***დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულთან - ირაკლი შიოშვილთან, პარლამენტარ დავით სონღულაშვილთან*** და ***ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან*** ერთად იმუნიზაციის პროცესს ადგილზე გაეცნენ.

მანავში COVID-19-ის საწინაღმდეგო ვაქცინით ათეულობით ადამიანი აიცრა, მათ შორის იყო ორსული და 100 წელს მიღწეული ქალბატონი.

COVID-19-ის საწინაღმდეგო ვაქცინის გაკეთება მოქალაქეებს, სოფლიდან გაუსვლელად, ადგილზე, რეგისტრაციის გარეშე, სპეციალურად გამოყოფილ მოძრავ ამბულატორიაში შეეძლოთ.

პროექტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის ინიციატივით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ხორციელდება.

მარათონში მონაწილეობას იღებენ სოფლის ექიმები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრების წარმომადგენლები, სოფლის რწმუნებულები, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

საინფორმაციო შეხვედრების განმავლობაში მოსახლეობას საგანმანათლებლო მასალებიც გადაეცემათ.

პროექტის მხარდამჭერები არიან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში და გაეროს განვითარების სააგენტო (UNDP).

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება საგარეჯოს საპატიო მოქალაქის,ჭეშმარიტი ქართველის,უღალატო მამულიშვილის,საქართველოსა და ქართულ ტრადიციებზე უზომოდ შეყვარებულის, გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მცველისა და გულშემატკივრის, ყოველივე ქართულის მეციხოვნის, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, სპორტგაერთიანების, გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის ყოფილი დირექტორის

ილია (ილუშა) ქვლივიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

19 ოქტომბერი, 2021 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრდიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები*** **ალექსი გილაშვილი** და **გიორგი ლალიაშვილი** უძღვებოდნენ.

როგორც ყოველთვის, ახლაც დღის წესრიგის პირველ საკითხად კვლავ სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხი დაისვა. სწორედ ამ საკითხის მოგვარების გზებსა და საშუალებებზე ისაუბრეს სოფელ ვერხვიანში მერის წარმომადგენელმა ნოდარ ბეგიაშვილმა, ყანდაურის თემში ვალერი ცანკაშვილმა, ბადიაურში კახაბერ ჩალათაშვილმა. როგორც მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ალექსი გილაშვილმა აღნიშნა, სოფელ ვერხვიანში უახლოეს მომავალში მოსახლეობას სასმელი წყლით 24 საათიანი მომარაგება ექნება, რის იმედსაც იძლევა უკვე დაგეგმილი პროექტი. რაც შეეხება სოფელ ბადიაურისა და ყანდაურის თემის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხის მოგვარებას, ამაზე კარგა ხანია მიმდინარეობს ძიება, კონკრეტულად, ჭაბურღილის დადგმის შესაძლებლობა. მერის წარმომადგენლის გიორგიწმინდის თემში გიორგი ჭიაბერაშვილის ინფორმაციით,

ოქტომბერში დასრულდა „ნასადგომარის“ წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი, მომავალი წლიდან კი დაიწყება სამუშაოების II ეტაპი, რის შედეგადაც გიორგიწმინდის თემის მოსახლეობას მომავალში გარკვეული გრაფიკით მიეწოდება სასმელი წყალი.

თათბირზე საუბარი შეეხო სოფლებსა და თემებში გზების მოხრეშვის საკითხს. მერის წარმომადგენლის სოფელ პატარძეულში გიორგი ჭინჭარაძის ინფორმაციით 18 ოქტომბერს დამთავრდა სოფელ პატარძეულის გზების მოხრეშვის სამუშაოები. როგორც ალექსი გილაშვილმა აღნიშნა,უახლოეს ხანებში დამთავრდება კაზლარი-დუზაგრამის გზის მოხრეშვა და გზების მოხრეშვის სამუშაოები სოფელ მზისგულში გაგრძელდება.

გზების მოხრეშვის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დააყენა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელ სათაფლეში ემზარ გორგილაძემ.

თათბირზე დაისახა პრობლემების მოგვარების გზებიც.

26 ოქტომბერი, 2021 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრდიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერი*** **გიორგი ერგოფონაშვილი უძღვებოდა.**

მან განვლილი 4 წლის განმავლობაში მერის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობა გაანალიზა და მათ ერთობლივი მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა, სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ეს ჩვენი სოფელია

პატარძეული

სოფელი პატარძეული ერთ-ერთი საკმაოდ დიდი, ლამაზი, ისტორიული ძეგლებით საინტერესო და წარმატებული ადამიანებით გამზრდელი და დასახლებული სოფელია. მის ძირძველობაზე მისივე ისტორია გვესაუბრება.

აქ ერთადაა თავმოყრილი მრავალი ეკლესია და ციხე-კოშკი: ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი, წმინდა შიო მღვიმელის, კვირაცხოვლის, ტბეთის თავი წმინდა გიორგის, ყორა მთის თავი წმინდა გიორგის, ელიას, კვირიკეს, კოპალეს, წმინდა ევსტათი მცხეთელის, სვეტიცხოვლის, აგრეთვე ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის სახელობის მთისა და ბარის მრავალი სალოცავი. ასევე ჯიღაურიანთ საყდარი, ბუტულაანთ, ფიცხელაურიანთ, მირზაანთ, ყუშიტაანთ, ენაგელიანთ ციხეები.

სოფელს სხვადასხვა მხრიდან ესაზღვრება: “თოხას ქედი”,“წითლობის გორა”,“დრეიძე”, “სათვალე”, “მახარაანთ გორა”, “ხუციანი”, “მთავარანგელოზის გორა”, “ევსტატეს გორა”, “მირზაანთ გორა”,“გალავნის გორა”,“ნაომარი გორა - ძმათა სასაფლაოები” და მრავალი სხვა. არის ასევე მრავალი ხევი და წყარო: “ფიდინაანთ ხევი”,“ყუშიტაანთ ხევი”,“კოდის ხევი”, “ფარის ხევი”, “საყდრის ხევი”, “დემეტრაანთ ხევი”, “ქვიტკირის წყარო”, “საკარის წყარო”,“გოგლების წყარო”,“მაყვალწყალი”,“ბლების წყალი”,“ვეძის წყალი”,“ცივწყარო”, “მჭედლიაური”,“ჭინჭრიანი” და სხვა.

როგორც არქეოლოგიური გათხრებიდან ჩანს, ადამიანებს აქ უხსოვარი დროიდან უცხოვრიათ.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს ნაშრომებში პატარძეული შეტანილი აქვთ გარე კახეთის სოფლების სიაში. ყველაზე ადრეული წყარო კი, სადაც ეს ტოპონიმი დასტურდება, არის “ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სათარხნოს გუჯარი”, რომელიც შედგენილი (თუ განახლებული) ჩანს 1392 წლის 1-ელ დეკემბერს. ამ ძეგლებში ვკითხულობთ, რომ სხვა მრავალ ყმა-მამულთან ერთად “თუალნი, გიორგი წმინდა, ბერთუბანი და პატარძეულნი მათითა მამულითა” ეკუთვნის სვეტიცხოველს. როგორც ჩანს, ორი ტოპონიმი - “თუალნი” და “პატარძეულნი” მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ დღევანდელ საგარეჯოს ტერიტორიაზე მდებარეობდა სამი სოფელი, რომელთაც თვალი ეწოდებოდათ. შესაძლებელია პატარძეულიც რამდენიმე დასახლებას ერქვა და საბუთშიც ამიტომ შეიტანეს მრავლობითის ფორმით. დღევანდელი პატარძეულის შემადგენელი ნაწილია ბერთუბანი, მაგრამ მას ვერ მივიჩნევთ მეორე პატარძეულად, რადგან ზემოთ დამოწმებულ წყაროში პატარძეულის გვერდით ბერთუბანი ცალკე ერთეულადაა დასახელებული.

გოგლა ლეონიძის მამა, მღვდელი ნიკოლოზ ლეონიძე 1885 წელს გაზეთ “დროებაში” წერდა: “XI საუკუნეში, დავით IV აღმაშენებლის მეფობის დროს, დასახლდა ეხლანდელი პატარძეულის მახლობლად ერთი კომლი კაცი, გვარად ყუშიტაშვილი (ფშაველი). ის იყო ძალიან დაბალი და პატარა ტანისა. მას ხშირად ეძახდნენ “პატარკაცს”, “პატარძეს”. ბოლოს, ეს სახელი უწოდეს იმ ადგილს, სადაც ყუშიტაშვილი დასახლდა. ამის შემდეგ გადმოსახლდა მრავალი ადამიანი ფართო ადგილას. ეს ფართო ადგილი არის, სადაც დღეს ცხოვრობენ: იმ ადგილს, სადაც ყუშიტაშვილი პირველად დასახლდა, ჰქვია ძველპატარძეული, ახლანდელს კი - ახალპატარძეული”. მამის ვერსიას იზიარებს გოგლა ლეონიძეც, თუმცა როგორც პოეტი ხშირად ამბობდა, თურმე “ჩემს სოფელს იმიტომ ჰქვია პატარძეული, რომ იქიდან სულ ლამაზი პატარძლები გამოდიანო”.

ისტორიკოსი, მკვლევარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი ალექსანდრე ელერდაშვილი სოფლის სახელის წარმოშობას პატარძლების შესახებ არსებულ გადმოცემას უკავშირებს. ამასთან, ლეგენდად ქცეულ ბრძოლას ქართველ ქალებსა და მონღოლებს შორის ნაწილობრივ ისტორიული ფაქტებითაც ადასტურებს. კერძოდ, მონღოლთა იმპერიის დაქუცმაცების შემდეგ ჩვენს მხარეში გაძლიერებულია ყაზან-ყაენი, რომელსაც რეზიდენცია მდინარე ივრის პირას მდებარე მთაზე ჰქონდა. ამ მთას დღესაც მისი სახელი ჰქვია - ყაზანიანის მთა და იქიდან აკონტროლებდა ახლომდებარე სოფლების აწიოკება-განადგურებას. სალომეს პატარძლების რაზმიც თავისი მეომრების გასართობად სჭირდებოდა. თუმცა მეომარ პატარძლებს მონღოლები ტყეში შეუტყუებიათ და

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მიუსაფარი, შინაური ცხოველებისათვის

ბურჯაანში მიუსაფარი, შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურმა სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო. სააგენტო ოფიციალურად გახსნეს ***კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა*** **ირაკლი შიოშვილმა** და ***პარლამენტის წევრმა,*** **დავით სონღულაშვილმა.** შემოღობილ ტერიტორიაზე განთავსებულია ადმინისტრაციული და კარანტინის შენობები, ვეტერინარული კლინიკა, ლაბორატორია და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა.

მიუსაფარ ცხოველთა მართვის რეგიონულ სააგენტოში იმუშავებს 24-საათიანი „ქოლცენტრი“, რომლის მეშვეობით მოხდება გამოძახება ცხოველთა გადასაყვანად. სტერილიზაციის გარდა, მიუსაფარ ცხოველთა მართვის კახეთის სააგენტოს ფუნქციებში შევა - ცხოველის პატრონის დადგენა ან ახლის მოძიება. ასევე, ცხოველთა ზრუნვისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

კახეთის რეგიონში მიუსაფარ ცხოველთა სიმრავლის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას და მათი რიცხვი რეგიონში 10 ათასზე მეტია.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განახორციელა. ინტერმუნიციპალური მიუსაფარ ცხოველთა კახეთის სააგენტოს აშენება 2 მილიონ ლარამდე დაჯდა.

„ინფრასტრუქტურა-2021“

სოფელი გიორგიწმინდა

სოფელ გიორგიწმინდის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის ცემენტ-ბეტონით მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რაზედაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 68054 ლარია გამოყოფილი.

მშენებლობა მიმდინარე წლის ნიემბერში დასრულდება.

ეს ჩვენი სოფელია

ვაზარძეული

გაგრძელება

ერთიანად ამოუწყვეტიათ. ამ ამბით გახარებულ ქართველთა მეფეს ბრძოლის ველიდან შემოუთვლია, - მაგ სოფელს პატარძეული დაარქვითო.

ალექსანდრე ელერდაშვილის მასალებმა სოფლის სახელის წარმოშობის ახალ ვერსიას ჩაუყარა საფუძველი. მდინარე ივრის მარცხენა შესართავთან, მდინარე ლაფიანხევის ორივე სანაპირო ისევე, როგორც ივრის ორივე სანაპირო, სავსეა ნასოფლარ-ნაქალაქარებით. ერთ-ერთს “ქვალდაბას”, ხოლო ლაფიანხევის მარცხენა სანაპიროზე, კაწარეთს სამებიდან 2 კმ-ის მოშორებით, “ძველ-პატარძეულის” დიდი ტყის მასივს “ნაქალაქარი” ეწოდება. ხანდაზმულმა პატარძეულელებმა და ხაშმელებმა მის შესახებ მხოლოდ ის იციან, რომ თამარ დედოფლის დროს აქ დიდი ქალაქი ყოფილა, რომელიც მტერს აღუგვია პირისაგან მიწისა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პატარძეულელებმა თავი გამოიჩინეს სპარსელებთან ბრძოლაში. მაშინ სოლომონ ბუტულაშვილი სახალხო გმირად აღიარეს. 1924 წელი სისხლიანი გამოდგა პატარძეულელებისთვის. ბევრი დახვრიტეს. მეორე მსოფლიო ომმა 450-მდე პატარძეულელი ახალგაზრდა შეიწირა. მაიორ გიორგი ბილანიშვილს 1944 წელს გმირის წოდება მიენიჭა.

1875 წელს პატარძეულში საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა ორკლასიანი სასწავლებელი. 1877 წელს ზაქარია გულისაშვილმა ჩამოაყალიბა სცენის მოყვარულთა წრე. შემდეგ გაიხსნა პირველი სკოლა, ბიბლიოთეკა. პატარძეულმა თავის წიაღში შვა და აღზარდა უდიდესი ადამიანები, მათ შორის გიორგი ლეონიძე.

დაბადებიდან გარდაცვალებამდე მისი ცხოვრება ქრისტეს სიყვარულით იყო გაჯერებული. მაშინდელი წეს-წყობილების გამო ამას აშკარად ვერ გამოხატავდა. ყველამ იცოდა, რომ მღვდლის შვილი იყო და ამის გამო სხვანაირად უყურებდნენ. მას კი უფლის სიყვარული გულით დაჰქონდა. პირჯვრის გადაწერის განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდა. რომ არ შეენიშნათ, პირჯვარს შიგნით, მარცხენა მხარეს ხელის სწრაფი მოძრაობით პატარა ჯვარს გამოსახავდა და გულში ლოცულობდა. ეს რომ ჭეშმარიტებაა, იქიდანაც ჩანს, რომ ღვთიური ადამიანის გარდა ისეთ ლამაზ გამოთქმას, როგორიცაა “ქრისტეს თიხის ყმაწვილი” (“ნატვრის ხე”) ვერავინ იტყოდა.

სოფელში ძირძველი გვარები ცხოვრობენ: ყუშიტაშვილები, ელერდაშვილები, ზუკაკიშვილები, უსტიაშვილები, სიბოშვილები, გიუნაშვილები. პატარძეულმა მრავალი ცნობილი ადამიანი აღზარდა. აქ დაიბადა გოგლა ლეონიძე, საბჭოთა კავშირის გმირი ადმირალი ჯინჭარაძე, ახლა ჰყავს შორეული ნაოსნობის გემის კაპიტანი გელა უნაფქოშვილი. აქაურები იყვნენ პროფესორები: ბილანიშვილი, გულისაშვილი, თათრიშვილი.

პატარძეულთან დაკავშირებულია ცნობილ მოღვაწეთა სახელები:

- პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე,
- რეჟისორი ვასილ ყუშიტაშვილი,
- მსახიობი ალექსანდრე ბურთიკაშვილი
- ექიმი-გინეკოლოგი, პროფესორი ალექსი უსტიაშვილი,
- დიდი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, იოსებ მაისურაძე - ბალამა.
- რუსეთ-ირანის ომის მონაწილე, ბუტულაანთ ციხის ამგები, სოლომონ ბუტულაშვილი
- საქართველოს ეროვნული ბანკის

ვიცე-პრეზიდენტი 1993-2005 წლებში, გივი ჯიღაური

- არქიტექტორები: გოგი უსტიაშვილი და სოლომონ რევიშვილი,
- სოლომონ რევიშვილის ძმა, ლიტერატურათმცოდნე, თსუ-ს პროფესორი, შოთა რევიშვილი,
- სანდრო კავსაძის გუნდის წევრი და ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი ივანე უსტიაშვილი,
- მეორე მსოფლიო ომის გმირი გიორგი ბილანიშვილი,
- სამხედრო ფლოტის კონტრადმირალი მიხეილ ზაქარიას ძე ჭინჭარაძე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე
- გენერალ-მაიორი გიორგი მიხეილის ძე ჭინჭარაძე, მეორე მსოფლო ომის მონაწილე
- პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, გენერალ-ლეიტენანტი, ალექსანდრე პეტრეს ძე ფიცხელაური
- მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე, მარგარიტა ჭინჭარაძე
- ვიცე-პოლკოვნიკი ლადო ცხვარიაშვილი (სამხედრო კავშირგაბმულობის სპეციალისტი),
- ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, ზვიად გამსახურდიას მეგობარი და თანამებრძოლი, გურამ ოქროცვარიძე
- აფხაზეთის ომის გმირები: დათო ლალიაშვილი, ლადო ბოჭორიძე და რამაზ ჭიკარტაძე.
- რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლადო ცხვარიაშვილი,
- კახეთში ცნობილი სახალხო მთქმელი სვიმონ ყუშიტაშვილი,
- ძველი თაობის სახელოვანი მოჭიდავეები: არჩილ ონაშვილი (ლელოს ბიჭი), თენგიზ ელერდაშვილი და არსენ ჭინჭარაძე,
- ჟურნალისტი, ლიტერატორი და ინტელექტუალი, გაზეთ “ივრის განთიადის” რედაქტორი, ალექსანდრე ელერდაშვილი,
- ირანისტი, მთარგმნელი, პოეტი, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე ელერდაშვილი
- საბავშვო მწერალი, ელისო ბილანიშვილი
- პედაგოგიკის მკვლევარი და ლინგვისტი, დოცენტი ნინო უსტიაშვილი,
- პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი ბიოლოგიაში, დოცენტი თინა უსტიაშვილი (ალექსი უსტიაშვილის შვილი),
- გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,

დასასრული მე-5 გვერდზე

მასწავლებელი

5 ოქტომბერს აღინიშნა მასწავლებლის პროფესიული დღე

ამაგდაფასებულნი

***საბარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით „ქალთა ოთახის“ მენეჯერებმა თამარ ურდულაშვილმა და მაკა ეპიტაშვილმა ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ყოფილ და მოქმედ 30 ღვაწლმოსილ მასწავლებელს მასწავლებლის საერთაშორისო დღე მიულოცა.*

ქალბატონმა თამარ ურდულაშვილმა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებს მიუძღვნა ეს ჩანახატი:

”მასწავლებელი გავლენას ახდენს მარადისობაზე; ვერასდროს იტყვის, თუ სად ჩერდება მისი გავლენა. ” - ჰენრი ადამსი

”სადა ხარ, მასწავლებელო?
სადა ხარ, მასწავლებელო?
მაპოვნინე, სახლი!
გამოდი, ნუ იმალები!
ან მითხარი, სად მოგძებნო – რომელი სიტყვის უკან დაიმალე?
და მითხარი, როგორ გავხდე ნამდვილი, როცა ყველაფერი ყალბია?
როცა ჩემი ხმა დაკარგულია

თუ ჩემი ხმა გესმის, გამოდი!
სადღაც შორიდან ან უფრო სიღრმიდან სუსტი ბგერები ხმაურს კვეთს .

დან,
მასწავლებელი არასდროს გასულა კლასიდან,
მასწავლებელი არასდროს გასულა სახლიდან
მასწავლებელი არასდროს გასულა გულიდან
მასწავლებელი არასდროს გასულა სიტყვიდან

როცა უდაბნოს ქარებმა ყველა სიტყვას პირი ამოუვსეს ქვიშით
იქნებ სჯობდა, პირში წყალის ჩაგუბება თევზივით?
მოდი და ამიხსენი, რთული გაკვეთილი!
მოდი და (ა)მიხსენი!
სადა ხარ, მასწავლებელო? კითხვები დამიგროვდა

და მერე ძალიან ახლოდან ვგრძნობ, რომ: მასწავლებელი არასდროს გასულა შინი-

და მისი ხმა უფრო მკვეთრად უფრო ძლიერად და უფრო მტკიცედ ჩამესმის:
მე გასწავლე: როგორია სიცარიელე
გადავიდეთ ახალ თემაზე!“
მილტონ ერიქსონი

ყველას თავის მასწავლებელი ჰყავს სიკეთის, სიყვარულის, ცხოვრების, მარადისობის მასწავლებელი . ვიხსენებთ მათთან გატარებულ წუთებს და ცხადი ხდება, რომ სიტყვებით არ გადმოიცემა მასწავლებლის სულის სიმდიდრე, მისი სიმაღლისა და თავმდაბლობის იშვიათი ერთიანობა, მისი „მიუწვდომელი უბრალოება“.

ჩემი ხმა ყოველთვის რჩება თქვენთან და თქვენი ხმაც არასდროს მტოვებს მე.

„მერე რა, რომ 50 წელი გავიდა“
მოსწავლეების სიყვარულში

***ოქტომბერში** მასწავლებლის დღედ სხვადასხვა თარიღი მოინიშნებოდა. 30 წლის წინ, კომუნისტების დროს, პომპეზურადაც აღინიშნებოდა, შემდეგ კი ნელ-ნელა გაუფერულდა და 1994 წლიდან ერთი დღეც დაწესდა. ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყოველთვის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას იჩენდა ამ დღისადმი და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის პედაგოგებს ასაჩუქრებდა ფასიანი საჩუქრებით. და აი, ოქტომბრის ერთ დღესაც საგარეჯოს და იორმუღანლოს ქალთა ოთახმა ჩვენს სახელოვან, წარჩინებულ და დამსახურებულ პედაგოგებს უმასპინძლა. მათ შორის იყო საგარეჯოს III საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანა ათაბეგაშვილ-აზარიაშვილი, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

ცნობისათვის: ნანა ათაბეგაშვილ-აზარიაშვილმა სოფელ ბოგდანოვკის (რუსულენოვანი) 8 წლიანი სკოლა 1968 წელს დაამთავრა და სწავლა თბილისის 33-ე საშუალო სკოლაში (რუსულ ენაზე) გააგრძელა. სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ სამრეწველო პროფილით სწავლას გული ვერ დაუდო და დატოვა... ძალიან უნდოდა სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება, მაგრამ... იმ დროს მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნა არ კმაროდა მისაღებ გამოცდებს.

16 წლისამ შეაღო პატარა ჩაილურის საშუალო სკოლის კარი. იმ წლის 10 სექტემბერს 17 წელი შეუსრულდა. მას შემდეგ 50 წელი ხვდებოდა ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს, ამ ხნის განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, 1972 წლიდან კი ბოლო დღემდე საგარეჯოს III საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. 1970 წელს ოჯახი საგარეჯოელ თემურ აზარიაშვილთან ერთად შექმნა, მუშაობის პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საბუთები თელავის პედინსტიტუტში გადაიტანა და სწავლა დაუსწრებელზე გააგრძელა.

– ნანა, თუ გახსოვთ პირველი გაკვეთილი, თანაც 16 წლის ასაკიდან?

– არც არასოდეს დამავიწყდება, პატარა ჩაილურელებთან, მეოთხე კლასში შევხსენი კარები, თურმე კარებს უკან სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იდგა – ყოველი შემთხვევისათვის... სულგანაბულები, თვალებგაფართოებულები მიყურებდნენ ერთ პატარა კაფანდარა გოგოს... ისე ჩაიარა გაკვეთილმა, თითქოს 10 წლიანი გამოცდილების მქონე მასწავლებელი ვიდექი მათ წინაშე.

– პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყება ისეთ დროს მოგიწიათ, როცა სკოლებში დიდი ავტორიტეტის მქონე, დამსახურებული პედაგოგები მუშაობდნენ...

– გეთანხმებით. თუნდაც მაშინდელი რაიონის განათლების განყოფილების გამგე, მათემატიკოსი ივანე ბედიაშვილი, მისი მეუღლე, საგარეჯოს I საშუალო სკოლის მასწავლებელი ნინო ასათიანი... და რაოდენ საოცარი იყო, როცა განათლების განყოფილების გამგის კაბინეტში გავიარე გასაუბრება და იქ მათემატიკოსი, რუსული ენის ბრწყინვალე მცოდნე, განათლების განყოფილების ინსპექტორი ივანე გვილავაც იყო... არც ის მავიწყდება, როგორი გაკვირვებული სახე ჰქონდა პატარა ჩაილურის სკოლის დირექტორს, ბრწყინვალე ადამიანს ივანე ფხალაძეს ჩემი გაცნობისას განათლების განყოფილების გამგის ოთახში... შემდეგ იყო საგარეჯოს III საშუალო სკოლის დირექტორები გივი როსტიაშვილი, გიორგი არაბული, მიხეილ ფანოზიშვილი, მაგული მათიაშვილი, თენგიზ კობიაშვილი, თამარ ურდულაშვილი და ბოლოს, ბოლო წლებში ნატალია კურდღელაშვილი. თითოეული მასწავლებლისგან სულ მცირე რამეც რომ გესწავლა, მართლაც ერთ უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას უდრიდა... ახლაც მიჭირს თითოეულის ცალ-ცალკე დასახელება, ამ სკოლაშიც და სხვა სკოლებშიც ნამდვილი პედაგოგებიმუშაობდნენ და დღესაც აგრძელებენ მოღვაწეობას., სულით, ხორცით, დიდი შემართებით და რაც მთავარია, ბავშვებისადმი დიდი სიყვარულით...

– იყო სკოლა, იყო ღია გაკვეთილები – გამოცდილების გაზიარების მიზნით, 20 წელი მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელობა, მაგრამ პარალელურად იყო და არის ოჯახი...

– კი, ოჯახი, უპირველესი. მეუღლე და ჩემი დედამთილ-მამამთილი ყოველთვის ხელს მიწყობდნენ დაუსწრებლად სწავლაში, გაკვეთილების მომზადებაში, მთელ რიგ აქტივობებში მონაწილეობისათვის. უფროსი გოგონა ნინო პროფესიით ფინანსისტია, დღეს ესპანეთში თავის 13 წლის მარიამთან ერთად ცხოვრობს. ნინოს მომდევნო გიორგი 18 წლის ასაკში გარდამეცვალა. ეს დიდი ტრაგედია იყო ჩემთვის, მაგრამ ნინო მყავდა და უნდა მეცოცხლა, ცხოვრება გამეგრძელებინა. გვიან დაიბადა ქეთი, მართლაც სხივი და იმედის სინათლე. დღეს ქეთის გიორგი ჰყავს, სასაცილო, საყვარელი, თბილი ბიჭი, რომელიც მეც და ჩემს მეუღლესაც გვილამაზებს სიცოცხლეს. ქეთი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობს და პარალელურად მაგისტრატურაში აგრძელებს სწავლას, პროფესიით ბიზნეს-ადმინისტრატორია. მაგრამ, აქვე მინდა დავძინო, რომ ჩემი ყოფილი მოსწავლეებიც ჩემი შვილები არიან, ჩვენ ხომ უამრავი საათები ერთად გავატარეთ ჩვენი ცხოვრებიდან, ჩვენ ხომ ერთმანეთს სითბოს და სიყვარულს ვჩუქნიდით და რაც მთავარია, , ერთმანეთისგან უამრავ ცხოვრებისეულ ნიაუნსებსაც ვსწავლობდით.

– რას ეტყვით თქვენს ნამოწაფრებს, ახლა, როცა 50 წელი გავიდა...

– მიყვარხართ, მინდა ბედნიერები იყოთ, მინდა თქვენი ცხოვრებისეული გზა სირთულეებით არ იყოს, მიყვარხართ, მიყვარხართ, მახსოვს თქვენი თითოეული სიანცე, ოინი, ხუთიანი, 10 ქულა, თქვენი წარმატებები... მერე რა, რომ 50 წელი გავიდა?!. თქვენ ისევ ბავშვები ხართ ჩემთვის...

ეს ჩვენი სოფელია

ვაგზარეული

დასასრული

პროფესორი ნინო თომას ასული თათრიშვილი

- პატარძეულის საშუალო სკოლის გამორჩეული, ლეგენდადქცეული პედაგოგები: ელისო იანქოშვილი და თამარ ხუროშვილი

- პროფესიით ჰიდროგეოლოგი, საქართველოსა და სხვა ქვეყნებში არაერთი ჰიდროკაშხლის მშენებლობის მონაწილე და ამ დარგის მსოფლიო მნიშვნელობის სპეციალისტი, გიორგი ჯიღაური

- გიორგი ჯიღაურის შვილი, ენგურჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინერი, კახეთის რეგიონის სარწყავი სისტემების ხელმძღვანელი, მიხეილ ჯიღაური

- საგარეჯოს რაიონის ყოფილი გამგებელი, უძლიერესი მენეჯერი და მეურნე ადამიანი, ლადო მარხვაშვილი,

- საგარეჯოს რაიონში ცნობილი ექიმი, ჯანდაცვის განყოფილების ყოფილი

ხელმძღვანელი თამაზ ცხვარიაშვილი.

- საგარეჯოს საფინანსო განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, ვაჟა მარხვაშვილი

- ცნობილი ქირურგი ონკოლოგები, მამაშვილი გუგული და ლერი ბილანიშვილები

- ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე, პროფესორი პეტრე თათრიშვილი

- ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, კონსტანტინე თათრიშვილი

- ცნობილი იურისტი, აკადემიკოსი შოთა ფაფიაშვილი,

- იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ლალი შოთას ასული ფაფიაშვილი

- ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი შუქრი საბიაშვილი,

- სამხატვრო აკადემიის პროფესორი, კერამიკოსი შოთა ნარიმანიშვილი

- ევროპის ორგზის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში, მრავალი ტიტულის მფლობელი სპორტსმენი გივი ონაშვილი,

- ცნობილი მოჭიდავე, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი, ვალერი პარუნაშვილი

- რაგბისტები: მურაზ გიორგაძე, მალხაზ და ბექა ურჯუკაშვილები,

- მის საქართველო–2003 და მის მსოფლიო–2003-ის ნომინანტი (მის ტალანტი) ირინა ონაშვილი,

- ცნობილი მომღერალი მამუკა ონაშვილი

- ნიჭიერი მომღერალი, პოეტი, მსახიობი და წამყვანი, გიორგი შალვაშვილი

- საქაერონავიგაციის ინჟინერი, პოპულარული მუსიკალური კონკურსების: "ჯეოსტარისა" და "ბრავოს" კონკურსანტი, ნიჭიერი მომღერალი, გიორგი ცხვარიაშვილი

- რაგბისტები: ძმები გიუნაშვილები,

- არქეოლოგები: აკადემიკოსი კიაზო ფიცხელაური და პროფესორი გოდერძი ნარიმანიშვილი,

- ლინგვისტი, ინტელექტუალი - თამაშ "რა, სად, როდის" ცნობილი მოთამაშე, ქართული ენის გაციფრულების პროექტის ავტორი (რისთვისაც წელს პრეზიდენტმა ღირსების მედლით დააჯილდოვა) ვახტანგ ელერდაშვილი

- პოეტი რომან ზუკაკიშვილი,

- თსუ-ს ტელე-რადიო ჟურნალისტიკის კათედრის ყოფილი ხელმძღვანელი, პროფესორი ნიკო ლეონიძე და მისი შვილი, პირველი არხის გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე, ჟურნალისტი გიორგი ლეონიძე,

- ტელერეჟისორი ზაზა ლეონიძე

- ცნობილი კალათბურთელი და საერთაშორისო კატეგორიის მწრთვნელი, დავით უსტიაშვილი,

- საგარეჯოს რაიონის ყოფილი გამგებელი და პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, თენგიზ ოქროცვარიძე,

- პროფესიით გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ ოქროცვარიძე

- შორეული ნაოსნობის პირველი რანგის კაპიტანი გელა უნაფქოშვილი.

- ძველი საეკლესიო ძეგლების მკვლევარი, დოცენტი ელგუჯა (მიშა) გიუნაშვილი.

- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, გიორგი კავთელიშვილი.

- წარმატებული ექიმი-თერაპევტი, დავით გაგუას კლინიკის თანამშრომელი, ნინო ჭინჭარაძე

- მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, ბიზნესმენი რომან მუჩიაშვილი.

- ვფიქრობ, რომ ამ საპატიო ჩამონათვალში უდაოდ იმსახურებს ყოფნას პიროვნება, რომელმაც თავისი კაცობით და სიკეთით ბევრს გააცნო და შეაყვარა პატარძეული: კაკო ბილანიშვილი

- მხატვარი ნინა სიბოშვილი - პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი, რომელიც იტალიის ქალაქ ფლორენციის მოხუცებულთა თავშესაფარში უვლის მოხუცებულებს

- მწერალი იოსებ სიბოშვილი

- საკმაოდ წარმატებული და აღიარებული მხატვარი, ირმა მუჩიაური

- არქეოლოგი გელა გიუნაშვილი

- პროფესიით ვეტექიმი, პროფესორი თემურ მარხვაშვილი

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პატარძეულის განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი კომუნისტების პერიოდში, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოფლის მოამაგე კაცს, გიორგი ცხვარიაშვილს, რომლის თაოსნობითაც აშენდა ახალი ამბულატორია, კულტურის სახლი, სპორტული დარბაზი და მოეწყო სოფლის სავანე. გაკეთდა სოფლისთვის მნიშვნელოვანი უამრავი საქმე.

პატარძეულელმა ბავშვებმა არაერთხელ ისახელეს თავი არა მარტო ჭიდაობაში, არამედ რაგბიშიც. მათი გუნდი „ვეფხვები" კარგად არის ცნობილი მოზარდ რაგბისტთა შორის.

რამდენიმე წლის წინ, აწ განსვენებულმა ლადო ცხვარიაშვილმა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, შექმნა მოზარდთა თეატრი, რომელმაც სახალხო თეატრის წოდება დაიმსახურა.

დღეს პატარძეულში 1260 კომლი, 3108 მოსახლე ცხოვრობს, აქედან 3 იძულებით გადაადგილებული პირია. სოფლის განკარგულებაშია:

საძოვარი – 4373ჰა

სახნავ-სათესი – 21834ჰა

ერთწლიანი ნარგავები – 103ჰა

სოფელი, სადაც დღეს ერთი საჯარო სკოლა, ორი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – №1 (50 აღსაზრდელი) და №2 (50 აღსაზრდელით), ფრანგულენოვანი სკოლა-ლიცეუმია. მართლაც თავის სიტყვას ამბობს ჩვენი ქვეყნის კულტურული, სოციალ-ეკონომიკური , სპორტული განვითარების საქმეში.

სოფელს დღეს სათავეში ***მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი* ბიორგი ჭინჭარაძე** უდგას სათავეში, რომელიც სოფლის აქტივისტებთან, სოფლის უხუცეს ადამიანებთან და ახალგაზრდობასთან ერთად ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმშია. ყოველთვის ესაუბრება მათ, ხშირად კამათშიც შესულან, მაგრამ შემდეგ, ამ „კამათისას წარმოშობილა ჭეშმარიტებაც" და სოფლის სასიკეთოდ ბევრი რამაც გაკეთებულა. მიმდინარე წელს სოფელში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და მომავალშიც განხორციელდება. როგორც სოფლის თავკაცმა **ბიორგი ჭინჭარაძემ** გვითხრა:

– მიმდინარე წელს მართლაც საინტერესოდ და შედეგიანად წარიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ასე, მაგალითად, სასმელი წყალი – რეაბილიტაცია ჩაუტარდა, დაიბურღა და მოეწყო წყლის ოთხი ჭაბურღილი თავისი რეზერვუარებით.

აღნიშნული პრობლემა უკვე ათეული წლები იდგა ე.წ. ჯიღაურების, მარტო ლეკიაანთ, ბერთუბნის უბნებისა და სოფლის ადმინისტრაციული შენობის წინ მცხოვრები მრავალრიცხოვანი მოსახლეობის წინაშე. წარმოიდგინეთ, 4 უბანს რომ მოეხსნება სასმელი წყლის პრობლემა, რამხელა მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან გამოჩენილ ამ ყურადღებას და მზრუნველობას. სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესასრულებლად 667656 ლარი იქნა გამოყოფილი. შეიცვალა ათასამდე წყლის ჭაბურღილი და წყლის ამქაჩი ტუმბო. ამასთან, ე.წ. ჩიხრაანთ უბანში მოეწყო დახურული სანიაღვრე არხი, რაზედაც 36814 ლარი იყო გამოყოფილი. ასევე, მოეწყო სანიაღვრე არხი ცხაურით წმინდა შიოს სახელობის ეკლესიასთან. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ქუჩების წყალგამტარობას უხვი ნალექების დროს, რაც თავისთავად დაიცავს ქუჩის საფარს დაზიანებისაგან.

ყველას მოეხსენება, რომ ჩვენს სოფელში ოდითგანვე მისდევდნენ სპორტის რამდენიმე სახეობას, გვყავს მსოფლიოში, ევროპაში, საქართველოში ცნობილი მოჭიდავეები, ჩვენი მორაგბეების – „პატარძეულის ვეფხვების" კლუბის წევრების სახელები უკვე კარგა ხანია ხმამაღლა გაისმის საქართველოში, ამდენად, ჩვენი ახალგაზრდობა მართლაც ღირსია გვქონოდა მინი სტადიონი, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 76792 ლარი იქნა გამოყოფილი. ჩვენი სოფლის ე.წ. უსტიანთ უბანში იქ მცხოვრები მოსახლეობის, უფრო სწორად, ახალგაზრდობის ჩართულობით მიმდინარეობს მინი სტადიონის მოწყობა, რომლის შემოსაღობი მასალა „ნავთობკომპანიამ" მოგვცა.

მოსახლეობა ითხოვდა გზების მოწესრიგებას. მიმდინარე წელს მოხერხდა უსტიანთ უბნის ნაწილის, გიუნაშვილების, მარტოლეკიანთ და ლალიანთ უბნის მოხრეშვა-მოშანდაკება.

გარე განათება მოეწყო უსტიანთ, ბილანიანთ, ნახალოვკის უბნებში.

შემოიღობა ე.წ. „აჭარელების დასახლებაში" არსებული სასაფლაო.

ამჟამად მიმდინარეობს №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები, რისთვისაც 282879 ლარია გამოყოფილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

პატარძეულის მოსახლეობა მომავალ წელს უფრო მეტი ინფრასტრუქტურული პროექტების ხორცშესხმას ელოდება, მათგან, ისეთი პრობლემატური საკითხების მოგვარებას, როგორიცაა:

– ბუტულაანთ ციხის გამაგრება (ციხიდან პერიოდულად ცვივა ქვები, რომელიც სოფლის მჭიდროდ დასახლებულ უბანშია).

– რიყის ზემო ნაწილში ბოგირის მოწყობა;

– სანიაღვრე არხებისა და კანალიზაციის მოწესრიგება;

– კულტურის სახლის რეაბილიტაცია;

– ბიბლიოთეკის გადახურვა;

– რიყის გაწმენდა;

– სხვადასხვა უბანში 20 ცალი ნაგვის ურნის განთავსება;

– ხიდის გამაგრება (ბურჯები მკვეთრად აქვს დაზიანებული);

და მთავარი, რომელიც ათეული წლებია პრობლემას წარმოადგენს – საქართველოს პროფკავშირების ბალანსზე არსებული საჭიდაო დარბაზის მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადმოტანა (დარბაზი საჭიროებს რეაბილიტაციას).

საბაზეთო სტატიის მომზადებისას გამოყენებულია პატარძეულის მკვიდრის, სოფელზე შეყვარებული კაცის, ახალგაზრდობის გვერდში მდგომისა და სოფელში სასიკეთო საქმეების მოთავისა და ინიციატორის სანდრო უსტიაშვილის მიერ მომზადებული მასალები.

ჯანმრთელობა

covid-19 და ჩვენ

ვაქცინაციის ეფექტიანობა

რატომ არ იცავს ვაქცინა ინფიცირებისგან და უნდა ავიცრათ თუ არა?

ზოგიერთი ადამიანი, რომელმაც ვაქცინაციის სრული კურსი ჩაიტარა, კორონავირუსით მაინც დაინფიცირდა.

ორივე აცრის გაკეთების შემდეგ კორონავირუსით ინფიცირება და ყველა კლინიკური გამოვლინება ძალზე იშვიათად ხდება, ეს სწორედ ის გამონაკლისი შემთხვევებია, როდესაც ვაქცინა ეფექტიანი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა - უნდა ავიცრათ მაინც თუ არა? პასუხი ცალსახაა - აუცილებლად უნდა ავიცრათ. სოციალურ ქსელებში ხშირად გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუ ვაქცინამ ინფიცირებისგან არ დაგვიცვა, ეს პრეპარატის სუსტ ეფექტიანობას ნიშნავს, არასწორია. სწორი კი ის არის, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვერცერთი ვაქცინა 100%-იან დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

რამდენად ეფექტიანია ვაქცინები?

რობერტ კოხის სახელობის ინსტიტუტის შეფასებით, გერმანიაში ვაქცინების საშუალო ეფექტიანობა 18-59 წლის ასაკის ადამიანებში 83%-ს შეადგენს. 60 წელზე უფროსი ადამიანებისთვის კი დაახლოებით 82%-ს. ამასთანავე, დაავადების მძიმე ფორმებისგან დაცვა ამ ასაკობრივი კატეგორიებისთვის შესაბამისად 95% და 93 %-ს შეადგენს.

რაც შეეხება ვაქცინის ეფექტიანობის ხანგრძლივობას, ამაზე საუბარი ჯერჯერობით რთულია.

„ჯერ არ არსებობს არცერთი ადამიანი, რომელმაც ვაქცინა ერთ წელზე დიდი ხნის წინ გაიკეთა. ამიტომ შეუძლებელია ზუსტად იმის თქმა, რამდენ ხანს მოქმედებს ვაქცინა“, - განაცხადა გერმანიის იმუნოლოგიის საზოგადოების პრეზიდენტმა კრისტიან ფალკმა.

ამ დროისთვის ცნობილია, რომ ანტისხეულების რაოდენობა 6-9 თვის შემდეგ იკლებს. ფალკის თქმით, ეს ფაქტი პრობლემას არ წარმოადგენდა, სანამ ვარიანტი „დელტა“ არ გაჩნდა, რომელიც ბევრად უფრო გადამდებია წინა შტამებთან შედარებით.

რა შემთხვევაში შეიძლება იყოს აცრა არაეფექტიანი?

„თუ ვაქცინაციის შედეგად ფორმირებული იმუნური სისტემა ანტისხეულების მეშვეობით ანტიგენებს წინ ვერ აღუდგება, ვირუსს დაცვის დაძლევა შეუძლია. მას შეუძლია უჯრედში გამაგრდეს და ინფექცია ყელ-ცხვირის მიდამოებში გააჩინოს. ეს არის შემთხვევები, როდესაც ვაქცინამ ვერ იმუშავა“, - აცხადებენ ჰანოვერის სამედიცინო სკოლის ტრანსპლანტიმუნოლოგიის ინსტიტუტის ექსპერტები.

რობერტ კოხის ინსტიტუტის კვლევის მიხედვით,აცრილი პაციენტების მხოლოდ 0,56%-ს დაავადების მძიმე ფორმა აღენიშნებათ. რაც შეეხება სიკვდილიანობას, ის ვაქცინირებული პაციენტების 1,06%-ში დაფიქსირდა. შედარებისთვის, კორონავირუსის პირველი ტალღის დროს, როდესაც ვაქცინები არ არსებობდა, გერმანიაში კორონავირუსით ინფიცირებულთა 6,25% გარდაიცვალა. 722 გარდაცვალების შემთხვევაში 75% 80 წელზე უფროსი იყო. შესაბამისად ის აჩვენებს ამ დაავადებისგან გარდაცვალების მაღალ რისკს ამ ასაკობრივ კატეგორიაში ვაქცინების ეფექტიანობის მიუხედავად.

გაიზარდა თუ არა არაეფექტიანი ვაქცინების რაოდენობა?

დიახ, ისევ და ისევ რობერტ კოხის ინსტიტუტის ინფორმაციით, ოქტომბრის დასაწყისიდან 18-59 ასაკობრივ კატეგორიაში 8224 შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ვაქცინამ არ იმუშავა. ანუ ეს მაჩვენებელი 7,2%-ით გაიზარდა, თუ ვაქცინაციის მთელ პერიოდს შევადარებთ.

60 წელზე უფროს კატეგორიაში, ასევე, ზრდა შეინიშნება. ამ ასაკში არაეფექტიანობის შემთხვევებმა 7015, ანუ 10,1% შეადგინა. იმ პაციენტების რაოდენობა, ვინც აცრების მიუხედავად, ინტენსიური თერაპიის პალატაში აღმოჩნდა, 6%-ს შეადგენს.

კოხის ინსტიტუტის ექსპერტები ამბობენ, რომ ეს სიტუაცია მოსალოდნელი იყო, რადგანაც სულ უფრო მეტი ადამიანი იტარებს აცრას, მაგრამ ვირუსი გავრცელებას განაგრძობს.

ვაქცინების არაეფექტიანობაზე აუცრელები აგებენ პასუხს?

არა, მაგრამ მათი საქციელი კორონავირუსის გავრცელებაზე, პანდემიაზე და ჯანდაცვის სისტემის დატვირთვაზე მოქმედებს. ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების ზრდა, ძირითადად, აუცრელ პაციენტებზე მოდის, რომელთა ასაკი 60 წელს აღემატება. თუ შემოდგომაზე კორონავირუსის შემთხვევები გაიზრდება, რისკის ჯგუფში, პირველ რიგში, აუცრელები აღმოჩნდებიან. დოქტორ ფალკის ინფორმაციით, აცრილიც შეიძლება დაინფიცირდეს, რადგანაც ვირუსი არსად წასულა, ის კიდევ უფრო მეტი გახდა.

აცრის შემდეგ იმუნიტეტი დროის განმავლობაში იკლებს, რაც შეეხება ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს, მაგ. ონკოლოგიური პრობლემების მქონე პირებს, ისინი კიდევ უფრო დიდ საფრთხეში არიან.

ამიტომ ვაქცინაციის კომისიამ 7 ოქტომბერს 70 წელზე უფროსი ადამიანებისთვის მესამე ვაქცინის გაკეთების რეკომენდაცია გასცა. ექიმებს და მოხუცთა თავშესაფრების პერსონალს, ასევე, ბუსტერ დოზას გაუკეთებენ. ისრაელში კორონავირუსის საწინააღმდეგო მესამე დოზით უკვე მილიონზე მეტი ადამიანი აიცრა.

რა ინტერვალი უნდა არსებობდეს ვაქცინებს შორის?

ისრაელის მოსახლეობის უმეტესობა ფაიზერის ვაქცინით აიცრა, სადაც ორ დოზას შორის ინტერვალი 21 დღეს შეადგენდა. იმუნოლოგ ფალკის თქმით, ფაიზერით აცრის დროს ეფექტი უფრო დიდია 42-დღიანი ინტერვალის შემდეგ.

„მეორე ვაქცინა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ის იმუნური მეხსიერების ფორმირებას ხელს უწყობს. ფაიზერის შემთხვევაში უმჯობესია შუალედი 6, ხოლო ასტრაზენეკას დროს 12 კვირას უნდა შეადგენდეს“.

ჯონსონი&ჯონსონის ვაქცინის ეფექტიანობას, რომლის დროს მხოლოდ ერთი აცრა კეთდება, კრისტინე ფალკი კრიტიკულად აფასებს. მისი თქმით, ეს კვლევები პანდემიის პირველ ეტაპზე ჩატარდა, ახლა კი ახალი მუტაციები გაჩნდა, რომელთა ამოცნობას ანტრისხეულები ხშირად ვერ ახერხებენ, მაგალითისთვის, ასეთია „დელტა“ შტამი.

კულინარიული რჩევები

„თათარა კარგია ჩურჩხელებისთვის, მაგრამ საჭმელად ცოტა მძიმეა...

ფელამუში უფრო მსუბუქია

რამდენი ფქვილი სჭირდება იდეალურ ფელამუშსა და თათარას

“**თათარა** კარგია ჩურჩხელებისთვის, მაგრამ საჭმელად ცოტა მძიმეა... ფელამუში უფრო მსუბუქია” - რამდენი ფქვილი სჭირდება იდეალურ ფელამუშსა და თათარას

ბოლო დროს ბევრი კამათობს თათარისა და ფელამუშის მსგავსება-სხვაობებზე. სულ ტყუილად ჰგონია ბევრს, რომ ფელამუში მხოლოდ სხვადასხვა წვენისგან, არა ბადაგისგან მზადდება და თანაც მხოლოდ სიმინდის ფქვილით. ან თითქოს მხოლოდ თათარა მზადდება ბადაგითა და ხორბლის ფქვილით. საკამათო ნამდვილად არაფერია, ვიდაცისთვის თათარაა უფრო მშობლიური ტერმინი, ვიდაცისთვის - ფელამუში.

თათარა, უმრავლეს შემთხვევაში, ჩურჩხელების ამოსავლებადაა გამიზნული. ამ შემთხვევაში ბადაგი თეთრი ყურძნისაა, უფრო კონცენტრირებულია, კარგად დადუღებული (როცა წვენს მანამ ადუღებენ, სანამ ნახევრამდე არ დაიკლეს) და პურის ფქვილიც მეტი სჭირდება, უმჯობესია არა უმაღლესი ხარისხის, არამედ ოდნავ რუხი ფქვილი. პროპორციები: 1 ლიტრი ბადაგი+2 ჭაის ჭიქა ფქვილი, შაქარი გემოვნებით და სურვილისამებ. ფქვილი ცივ ბადაგში იხსნება, თუ ბოლომდე ვერ გახსენით, შეგიძლიათ საცერშიც გადაწუროთ და დადგათ ასადუღებლად. გამუდმებული მორევა სჭირდება, რომ არ მიიკრას, როცა დუღილს დაიწყებს, დაბალ ცეცხლზე უნდა მოიშუშოს, რომ ფქვილის გემო არ ჰქონდეს. ამ დროსაც გამუდმებით უნდა ურიოთ. ასეთი თათარა ძალიან კარგია ჩურჩხელებისთვის, მაგრამ საჭმელად ცოტა მძიმეა.

ფელამუში საჭმელად უფრო მსუბუქია. არ არის აუცილებელი, თეთრი ყურძნის ბადაგზე მოამზადოთ. ბადაგი ხომ ყურძნის გამოწურული და დადუღებული წვენია, შეგიძლიათ აირჩიოთ როგორც ნებისმიერი ყურძნის ბადაგი, ასევე ადესის წვენი, რომელსაც კომპოტის პრინციპით უფრო ხშირად ამზადებენ. (დარჩეულ მარცვლებს ასხამენ წყალს, წამოადუღებენ, გააჩერებენ ერთი ღამით, შემდეგ გადაწურავენ, გემოვნების მიხედვით ატკბობენ და მოხუფულს ხანგრძლივი დროით ინახავენ). შეგიძლიათ სხვა წვენებიც გამოიყენოთ, ოღონდ გირჩევთ, რომ ეს წვენი მაქსიმალურად კონცენტრირებული და არომატული იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფქვილში რომ გაზავდება და გემოს დაკარგავს. ფელამუშისთვის საკმარისია პროპორციები 1 ლიტრი ბადაგი ან წვენი+1 ჩაის ჭიქა ხორბლის ან სიმინდის ფქვილი (შეგიძლიათ ორივე სახის ფქვილი შეურიოთ ერთმანეთში). შეიძლება თხელი მოგეჩვენოთ, მაგრამ რომ გაცივდება, საკმაოდ მკვრივი იქნება და საჭმელადაც გაცილებით მსუბუქია.

რაც შეეხება შაქარს, ეს თქვენს გემოვნებაზე და წვენის სიტკბოზეა დამოკიდებული. შეგიძლიათ დაამატოთ ფელამუშისთვის გამზადებულ წვენს, შეგიძლიათ - შაქრის გარეშე დაამზადოთ. ფქვილის დამატებამდე ჯობს, გემო გაუსინჯოთ წვენს და შემდეგ გადაწვიტოთ.

მკვახე პომიდვრის სალათა

ზამთარი, მკვახე პომიდვრის სალათის გარეშე არ შეიძლება

5 კგ. მკვახე პომიდორი
2კგ.სტაფილო
2კგ ბულგარული
1.500კგ.ხახვი
1დიდი კონა ნიახური
1დიდი კონა ოხრახუში
200 გრ. ნიორი
შავი პილპილის მარცხვლები
მარილი გემოვნებით
ჰოვზი უცხო სუნელი.
500გრ ზეთი
1ს/კ ზაფრა
1 ჭიქა 200 გრ ძმარი
3 ცალი მწარე წითელი წიწაკა

დაჭერით პომიდორი ალყა-ალყა, მოაყარეთ მარილი კარგად აურიეთ და დადგით სანამ სხვა ინგედიენტებს მოამზადებთ.

დანარჩენი ინგედიენტი დაჭერით წვრილად და გრძლად, დაამატეთ დარჩენილი ყველა ინგერდიენტი, დაამატეთ პომიდორი, ხელით გაწურეთ და ისე, კარგად აურიეთ, გააჩერეთ სამი საათი, რომ წვენი გამოიღოს, გადაიტანეთ ქილებში, დაასხით თავისივე წვენი, ბოლომდე არ გაავსოთ ქილები(დუღილის დროს გადმოვა) გაუკეთეთ სტერილიზაცია 20-25 წუთი და შეფუთეთ მთელი ღამით.

სასწაულია ჯერ ფერები, მერე გემო.

სპორტი

მასვრესლინგი

მუნიციპალიტეტში პირველი

გიორგი ქვლივიძე – მასვრესლინგის კაკაბეთელი ოსტატი

მასვრესლინგი (Masvresling) – *ძალისმიერი სპორტის ეს საინტერესო სახეობა დიდი ხანია პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში და ცისქვეშეთის თითქმის ყველა პლანეტაზეა გავრცელებული. მასვრესლინგის პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ ძიუდოსი არ იყოს, მას არა მარტო კაცები, არამედ „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებიც მისდევენ და თითქმის ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა საერთაშორისო, ევროპისა თუ მსოფლიო პირველობები.*

საქართველოსათვის ეს სპორტის სახეობა, ცოტა არ იყოს „ახალი ხილია“, მაგრამ იგი თანდათანობით და მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენშიც, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მასვრესლინგის ეროვნულ ფედერაციას და მის თავკაცს ავთანდილ ახვლედიანს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასვრესლინგს ჯერჯერობით მთლიანად არ „დაუპყრია“ ჩვენი ქვეყანა და ამ გამონაკლის რეგიონებს შორის არის ჩვენი მუნიციპალიტეტიც, რომელსაც გარეჯელი მოჭიდაველების ტრადიციების გათვალისწინებით, სპორტის ამ სახეობას განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია. მით უმეტეს, რომ უკვე გამოჩნდა მასვრესლინგით დაკავებული ჩვენი კაკაბეთელი თანამემამულე, ახალგაზრდა სპორტსმენი **გიორგი ქვლივიძე**, *რომელსაც უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მოპოვებული, როგორც ქვეყნის, ისე ევროპისა და მსოფლიო დონის ასპარეზობებში.*

გიორგი ქვლივიძე – ქვეყნის წარმატებული მასვრესლინგელი გაზეთის რედაქციას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა არჩილ ჯაბადარმა და ამ სამსახურის სპორტის საკითხებში მთავარმა სპეციალისტმა, საგარეჯოს კრივის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელმა გიორგი კოხტაშვილმა გაგვაცნეს და დაგვაახლოვეს.

და აი, იგი ახლა ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია. გიორგი ქვლივიძე დაიბადა 1998 წელს კაკაბეთში და აქვე დაამთავრა საჯარო სკოლის სრული კურსი. სპორტზე შეყვარებულ და გატაცებულ ჭაბუკს სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე არც უფიქრია, რადგან ადრიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული სპორტის მიყოლა და ვარჯიშობდა კიდევაც ოჯახურ და იმ პირობებში, რასაც კაკაბეთში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა იძლეოდა.

– თავდაპირველად სამჭიდში ვვარჯიშობდი – *გვიყვება რედაქციაში სტუმრად მყოფი გიორგი,* – მაგრამ შემდგომში, როცა გავიგე მასვრესლინგისა და იმის შესახებ, რომ საქართველოში ამ სპორტის ეროვნული ფედერაცია არსებობდა, მაშინვე გულმა იქით გამიწია და ასე ჩავები 2019 წლიდან ძალისმიერი სპორტის ამ სახეობაში.

– 2019 წლიდან დღემდე არცთუ ისე დიდი დროა სპორტში რაიმე არსებითი მიღწევების მოსაპოვებლად, ამას მხოლოდ ერთეულები და გამონაკლისი სპორტსმენები თუ ახერხებენ. შენ კი, როგორც გადმოგვცეს, უკვე გაგიკეთებია სერიოზული განაცხადი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მოდით, ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ თქვენს მიერ მოპოვებული ეს წარმატებები...

– როგორც ზემოთ გითხარით, მასვრესლინგში სავარჯიშოდ 2019 წელს მივედი და იმავე წელს გავხდი საქართველოს ჩემპიონი 80 კგ წონით კატეგორიაში. ამ წარმატებამ მასვრესლინგის ეროვნულ ფედერაციას იმედი მისცა, გავეგზავნე მსოფლიო პირველობაზე, რომელიც იმავე, 2019 წელს პოლონეთში ჩატარდა, სადაც შევძელი III საპრიზო ადგილის დაკავება. მართალია, იქ ვერ შევძელი პირველი ადგილის და ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, მაგრამ მგონია, რომ ჩემისთანა გამოუცდელი სპორტსმენისათვის არც ეს შედეგი იყო ურიგო.

– მეორედ როდის გახდი საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი?

– ორივე ამ შედეგს მიმდინარე წელს მივაღწიე. ჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი 80 კგ წონით კატეგორიაში და შემიყვანეს მასვრესლინგის ეროვნულ ნაკრებში, შემდგომ კი საასპარეზოდ ვიყავი თურქეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც შევძელი-ისევ III საპრიზო ადგილის დაკავება 80 კგ წონით კატეგორიაში.

– სად ვარჯიშობ და ვინ არის ნაკრებში შენი მწვრთნელი?

– საქართველოს მასვრესლინგის ფედერაცია ახალი შექმნილია და არ აქვს რეგიონებში თავისი ქსელი. ვარჯიშებს გავდივარ ფედერაციის ხელმძღვანელთან ავთანდილ ახვლედიანთან – კვირაში ორ დღეს ჩავდივარ თბილისში საკუთარი ხარჯებით, დანარჩენ 5 დღეს კი სახლში – კაკაბეთში მიწევს ვარჯიში, ვიტვირთები ფიზიკურად.

– ახლადგახსნილ ფედერაციას არც იმდენი სახსრები ექნებათ სპორტსმენებს ამა თუ იმ ასპარეზობის ხარჯები დაუფინანსოს. პირადად შენ ვინ დაგიფინანსა პოლონეთსა და თურქეთში გამართულ ჩემპიონატებში მონაწილეობა?

– პოლონეთის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა თვითონ ჩვენმა ფედერაციამ, თურქეთისა კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ დამიფინანსა, რისთვისაც მადლობის მეტი რა მეთქმის მერიის და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელობის მიმართ.

– ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ხარ და ასაკი სპორტში დარჩენის საშუალებას გაძლევს. რა არის შენი უახლოესი ამოცანა, რა ასპარეზობები გელის წინ ამ წლის დასრულებამდე?

– ჩემი ამ წლის ყველაზე უმთავრესი ამოცანა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის მომზადებაა, რომელიც ნოემბრის ბოლოსაა ჩანიშნული და რუსეთში უნდა გაიმართოს. აქ საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები მოიყრიან თავს და შევეცდები, არც აქ შევირცხვინო თავი და ვასახელო ჩვენი ქვეყანა.

– ალბათ ისევ ძველ, 80 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზებ მსოფლიოზე, არა?

– არა, წინა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, ამ ჩემპიონატში 90 კგ წონით კატეგორიაში ვაპირებ ასპარეზობას და ვეცდები მაღალი შედეგით აღვნიშნო ამ წონაში ჩემი „დებიუტი“ და იმედები არ გავუცრუო ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობასა და ჩვენს ქართველ გულშემატკივრებს.

– გისურვებთ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით დაბრუნებულიყავით საქართველოში.

გივი დაგახიშვილი

დაბადებულია 1971 წელს

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის – 1991 წელი.

ევროპის II პრიზიორი – 1994 წელი;

მსოფლიოს II პრიზიორი – 1994 წელი;

მსოფლიოს ჩემპიონი სტუდენტებს შორის – 1995 წელი.

მსოფლიოს მეორე პრიზიორი – 1996 წელი;

ევროპის ჩემპიონი – 1997 წელი;

მსოფლიოს ჩემპიონი – 1997 წელი;

ევროპის III პრიზიორი – 1999 წელი;

მსოფლიო თასის მფლობელი – 1999 წელი;

მსოფლიო ჩემპიონი – 1999 წელი;

სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე – 2000 წელი;

მსოფლიოს II პრიზიორი – 2001 წელი;

ევროპის მეორე პრიზიორი – 2004 წელი;

მამუკა კურდღელაშვილი კახეთის მხარის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი იყო წლების განმავლობაში. დღეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების მთავარი სპეციალისტია.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

კვლავაც, 50 წლის ასაკში

თავისუფალი ჭიდაობა

ოქრო და ვერცხლი უკრაინიდან



15 ოქტომბერს უკრაინის ქალაქ კოლონიამ თავისუფალ ჭიდაობაში დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელიც ახალგაზრდებში 2001-2003 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის გაიმართა . ტურნირში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წრის მწვრთნელების **დავით ბაბუნიძისა და რამაზ ასაბაშვილის** აღზრდილი ფალავნები, საქართველოსა და სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებების ჩემპიონები და პრიზიორები **გიგი ქურხული** (მარჯვენა სურათზე) **და დავით კუჭუაშვილი** (მარცხენა სურათზე).

გიგი ქურხული ამ ასპარეზობაში 65 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და ბრწყინვალედ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა – გამართული ხუთი ორთაბრძოლიდან ხუთივე თავის სასარგებლოდ ჩაატარა და როგორც ამ შეჯიბრებების ჩემპიონმა უკრაინაში საქართველოს ეროვნული ჰიმნი ააჟღერებინა. ამ ასპარეზობაში მან დაამარცხა სამი უკრაინელი მეტოქე, ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში ბელორუსი, ფინალში კი მოლდოველი მოწინააღმდეგე და საქართველოს ორგზის ჩემპიონის (ჭაბუკებში), ევროპის პრიზიორისა და სხვა ჯილდოებს უკრაინული ოქროს მედალიც შემატა.

წარუმატებული აღმოჩნდა ფინალური ჭიდაობა 74 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე დავით კუჭუაშვილისთვის, რომელმაც მანამდე დაუმარცხებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა. ფინალში დასვებული სულ ოდნავი ტექნიკური შეცდომა საკმარისი აღმოჩნდა, რომ იგი ტურნირის ჩემპიონობასა და ოქროს მედალს გამოთხოვებოდა. არადა, მას ყველა შანსი გააჩნდა, რომ ეს ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ წარემართა. რას ვიზამთ, დიდ სპორტში ყველაფერი ხდება ხოლმე და გამონაკლისებიდან არავინაა დაზღვეული. ისე, არც მის მიერ უკრაინაში მოპოვებული ვერცხლის მედალია ურიგო და მომავალში იგი ალბათ შეეცდება ამ დანაკლისის გამოსწორებას.

ძიუდო

გურჯაანის საშემოდგომო რესპუბლიკურ ტურნირზე

ყოველი ღვინობისთვის მეორე ნახევარში გურჯაანში ტარდება საშემოდგომო რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ და „სპორტული გაერთიანების“ ხელმძღვანელობამ არც ამ წელს უღალატა ამ ტრადიციას და პანდემიის მიუხედავად, 16-17 ოქტომბერს, კვლავ ჩაატარეს ეს ტურნირი უმცროს 2008-2009 და 2010-2011 წლებში დაბადებულ კადეტთა შორის. როგორც ყოველთვის, ტურნირი ძიუდოს განვითარება-პოპულარიზაციასთან ერთად, ახალგაზრდა ქართველ ძიუდოისტთა ოსტატობის ამაღლებისა და ნიჭიერი მოჭიდავეების გამოვლენას ემსახურებოდა და ბევრი ახალი სახეც წარმოჩინდა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტული გაერთიანების“ ნორჩი ძიუდოისტები ყოველ წელს იღებდნენ ხოლმე მონაწილეობას ამ ტურნირში და გამონაკლისი არც ახლა დაუშვიათ და სხვადასხვა წრეების ძიუდოისტებით დაკომპლექტებული გუნდით ეწვივნენ გურჯაანს.

ასპარეზობის პირველ დღეს, რომელიც გურჯაანის სპორტკომპლექსის საჭიდაო არენაზე ჩატადა, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 2008-2009 წლებში დაბადებული 10 წონითი კატეგორიის კადეტები (34-38-42-46-50-55-60-66-73 და +73კგ). ამ დღეს საგარეჯოელმა ძიუდოისტებმა შეძლეს ერთი პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე საპრიზო ადგილის დაკავება. ტურნირის ჩემპიონი 46 კგ წონით კატეგორიაში გახდა **მამუკა მათიაშვილისა** და **ნუკრი გაგნიაშვილის** აღსაზრდელი **ვახტანგ ჰიაბერაშვილი,** ყველასათვის მოულოდნელად აჭარელ მოწინააღმდეგესთან ფინალურ შეხვედრაში დამარცხდა 55 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ლადო (ვლადიმერ)** მაჩურიძე, რომელზედაც მწვრთნელები და ძიუდოს გარეჯელი გულშემატკივრები დიდ იმედებს გამოთქვამენ. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ **დავით მეზვრიშვილი და გიორგი მეკოკიშვილი** (60კგ).

შეჯიბრების მეორე დღეს – 17 ოქტომბერს გურჯაანის ტატამზე 2010-2011 წლებში დაბადებული ძიუდოისტები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, აქაც 10 წონით კატეგორიაში .

ამ პაექრობაში ნორჩმა საგარეჯოელმა ძიუდოისტებმა წინა დღეს მოპოვებულ მედლებს კიდევ ერთი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს სინჯის მედლები შემატეს. კერძოდ, ოქროს მედლის მფლობელი და ტურნირის ჩემპიონი გახდა უდაბნოელი **დავით ონიანი** (მწვრთნელი **ლ. ფირცხელანი).** ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა გიორგიწმინდის საჭიდაო სკოლის აღსაზრდელს **ზურა აზნაურაშვილს** (მწვრთნელები გ. მეკოკიშვილი, ბ. ბასილაშვილი).

ტურნირის ორგანიზატორების მიერ საპრიზო ადგილებზე გასული ძიუდოისტებისათვის დაწესებული იყო თასები, მედლები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები, რითაც 1-2-3 ადგილებზე გასულ სხვა სპორტსმენებთან ერთად დაჯილდოვდნენ ჩვენი ნორჩი ძიუდოისტებიც.

გივი დაგახიშვილი

„ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!“

„რანინას“ ყოფილი მონაწილე, **რომელიც მაინც გამარჯვებულია** – მან ჩვენი სიყვარული დაიმსახურა

საქართველოს პირველ არხზე, სატელევიზიო სივრცეში 20 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 22 საათზე გაიმართა გადამწყვეტი ორიგინალური საბავშვო მუსიკალური მეგაშოუ „რანინას“ 8-დან 14 წლამდე ასაკის მომდერლებისათვის მეოთხე გადამწყვეტი ტური, რომელშიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლე **ნინი ორკოშელი** ჩვეული სიდინჯით, მისეული, დადებითი მუხტის შემოტანით წარსდგა.

პროექტში 10 კონკურსანტი მონაწილეობდა, რომლებიც 3 თვიან მუსიკალურ ტელემარათონს გადიოდა. თითოეულ ტურზე კონკურსანტებს 3 წევრიანი ჟიური აფასებდა თუმცა ისინი იცვლებოდნენ, „რანინას“ გამარჯვებული 2021 წელს, საქართველოს სახელით საბავშვო ევროვიზიაში მიიღებს მონაწილეობას.

„სხვა ადამიანად რომ დავბადებულიყავი, ან ედიტ პიაფი, ან ლარა ფაბიანი ვიქნებოდი“ – დიახ, ეს სიტყვები ნინოწმინდელ პატარა, ცქრიალა, ერთ ჩვეულებრივ მწვანეთვალება გოგონას ეკუთვნის – ნინოწმინდის სკოლის მეხუთეკლასელს. იცით, ***ვინ არის ნინი? როგორია? რა უნდა?***

ჩაიცვამს მამის ნაჩუქარ კაბას და თუ სადმე გამოდის სცენაზე, ბრწყინვალედ მღერის... როგორც ჩანს, მამიკო იმქვეყნიდან კეთილ ანგელოზს უგზავნის, რათა დაამშვიდოს და სცენა მისთვის მშობლიური გახდეს. თუმცა სცენა ხან ეზოა, ხან სახლის აივანი, უჭირავს ხელში მიკროფონი და მღერის და მღერის...

ვინ არიან მსმენელები?! დედიკო – მარეხი თედიაშვილი, ძმები – ლუკა და გუგა, მასზე 16 წლით და 13 წლით უფროსები, საყვარელი ცუგა და ფისო, მეგობრები, მეზობლები, სკოლაში როცაა, კლასელები და სკოლელები, მასწავლებლები...

ოცნებები?

ოცნებები უამრავი აქვს – საფრანგეთში უნდა წავიდეს და იქ იმღეროს. ხომ ამბობს კიდეც ინტერვიუში – ან ედიტ პიაფი ვიქნებოდი ან ლარა ფაბიანიო, მაგრამ ჯერჯერობით თბილისში, „რანინას“ მეოთხე სეზონში მიიღო მონაწილეობა, თუმცა, სხვა სამ მონაწილესთან ერთად ნახევარფინალში ვეღარ გადავიდა... მერე რა? მომავალი წინაა, უამრავი რამ ისწავლა, რაც მთავარია, ნამდვილ სცენაზე იდგა და ნამდვილი მიკროფონი ეჭირა ხელში.

ნინის ხასიათი:

– პატარა რაღაც უხარია და პატარა რაღაც სწყინს, შეიძლება სიხარულისგანაც იტიროს და წყენისგანაც. ისე კი, საერთო დახასიათებით მხიარული გოგონაა.

– რა და ვინ უყვარს?

– სიმღერა, „ინტერვიუების“ გადაცემა საკუთარი მიკროფონის საშუალებით... დედიკო, ძმები, ოთხფეხა მეგობრები, სკოლის მასწავლებლებიდან თეონა გივიშვილი – მუსიკის მასწავლებელი, მანანა კუმელაშვილი – კლასის დამრიგებელი, ნინო ქვლივიძე – ინგლისურის მასწავლებელი და ყველა, ვინც დახვდა მეოთხე კლასიდან V კლასში გადასულს. საგარეჯოს სამუსიკო სკოლაშიც ჰყავს საყვარელი პედაგოგები: დირექტორი ლია ბურჯანაძე, ფორტეპიანოს მასწავლებელი ეკა გოგიშვილი და სკოლასთან არსებული ანსამბლ „კამერტონის“ ხელმძღვანელი თეა ხატიაშვილი, რომელიც ძალიან, ძალიან უყვარს. სწორედ თეა მასწავლებელმა შეაგულიანა და „რანინას“ მეოთხე სეზონში მონაწილეობის მიღება გადააწყვეტინა...

როგორ მოხდა „რანინას“ პროექტში?

– ნინის ნიჭი ეკა მასწავლებელმა შეამჩნია და თეა ხატიაშვილთან გადაამისამართა. თეა მასწავლებელმა პირველივე დღიდან შეიცნო მასში ის ნიჭი, რომელიც გოგონას უფალმა მოჰმადლა. „რანინას“ პროექტისთვის უცბად, ორიოდე კვირაში მოამზადეს სიმღერა და განაცხადიც ბოლო საათებში შეიტანეს.

პროექტში მონაწილეობა

ნინის კომუნიკაცია არ გასჭირვებია ე.წ. კონკურსანტებთან და პედაგოგებთან, თანამონაწილე, ასაკით უფროს მომღერლებთან. მან ყველას სიყვარული დაიმსახურა თავისი ხალისიანი ხასიათით, სიყვარულით აფოფინებული მწვანე თვალებით და რაც მთავარია, მიზანდასახულობით – არ შეირცხვინოს თავი და ბოლომდე აჩვენოს თავისი შესაძლებლობები.

ნინის გულშემატკივრობდა უამრავი ადამიანი და მათ შორისაა პირველი არხის „მოამბე“, რომელმაც სტუდიაშიც მიიწვია 19 ოქტომბერს, მასთან ინტერვიუც ჩაიწერეს და გზა დაულოცეს ჯერ „რანინას“ პროექტში გამარჯვებისკენ და მომავალში ჟურნალისტის პროფესიის დაუფლებაც უსურვებს.

პროექტში ყველა მონაწილესათვის ნინი დღესაც საყვარელი გოგონაა, ჟიურის ყველა წევრიც სიმპათიითაა განწყობილი მის მიმართ. ყოველი შესრულებული სიმღერის შემდეგ ისინი ნინისადმი თბილ სიტყვებს არ იშურებდნენ. განსაკუთრებული სითბოთი ახასიათებს მას დათო (ცინცაძე) მასწავლებელი, რომელიც კიდეც განცვიფრებულია ნინის ნიჭით, მონდომებით, დიახ, უკვირს, პატარა სოფლიდან ჩამოსული ეს პატარა გოგონა როგორ ადვილად იმორჩილებს დიდ სცენას, როგორ ადვილად ითვისებს ყველა ჟანრის სიმღერას, ხან როგორი სერიოზულია, ხან როგორი სიანცე აკაშკაშებს ხოლმე მის თვალებს. დიახ, კონკურსანტები 10 ენაზე მღერიან და ამ 10 ენის თავისებური მიდგომა, შეთვისება, გულსა და სულში გატარება უნდა და მსმენელამდე მიტანა. ნინის კი სულაც არ გასჭირვებია, მერე რა, რომ ნინოწმინდაში მხოლოდ ქართულ ენაზე საუბრობენ, სიმღერებს ხომ უსმენს სხვადასხვა ენაზე, ხომ იცის ის სიმღერები. ძალიან უყვარს ხალხური სიმღერების მოსმენაც, შესწავლაც და შესრულებაც. გაუადვილდა ანსამბლ „შავნაბადასთან“ ერთად მუშაობა, მათთან ერთად სიმღერის „კოლხური ნანა“-ს დამუშავება და შესრულება. არც ინგლისური სიმღერა „Once Upon A December“ გასჭირვებია, ქართულ „საქათმეში შეპარული მელა“ კი ისე შეასრულა (მომღერალ ნუცა ჯღამაძესთან ერთად), ალბათ საქათმეში შეპარულ იმ მელასაც ძალიან მოეწონებოდა.

– რა მიიღო ნინომ?

– ძალიან დიდი სიყვარული მსმენელებიდან და მისთვის დიდი საჩუქარია „რანინას“ ბავშვებთან დამეგობრება, ჟიურის წევრების გაცნობა, პირველი არხის „მომბესთან“ რამდენიმე წუთიანი თანამშრომლობა, დათო ცინცაძის, „შავნაბადას“ გაცნობა, ზალიკო სულაკაურის მიერ შესრულებული ნინის პორტრეტი და უამრავი, უამრავი მეგობარი

მართალია, ვერ გავიდა ფინალში, ათიდან ოთხმა დატოვა პროექტი, მაგრამ ნინომ გამოცდილებაც მიიღო, სიყვარულიც და მეგობრებიც შეიძინა, გაეცნო „მოამბის“ სამზარეულოს“, „შავნაბადას“ ბიჭებს და გულით შეიყვარა პროექტში მონაწილე ყველა ბავშვი, რომელთა გულშემატკივარი ახლა თავადაა..ნინის სიმღერის ნიჭი დედის შტოდან – თედიაშვილებიდან გამოჰყოლია. აი, რას გვიყვება ნინიზე ნინის დედა **მარეხი თედიაშვილი:**

– ნინი 5 წლის ასაკიდან მღეროდა. 6 წლიდან მივიყვანე სიმღერაზე, მაგრამ რატომღაც ვერ აჩენდა თავის შესაძლებლობებს . არადა, შინაგანად ვიცოდი, რომ ნინის შეეძლო. დავიწყეთ ჩვენით სიმღერების სწავლა, გავაკეთეთ ნინის სცენა და ავტვირთეთ სოციალურ ქსელში სიმღერები.. და მოჰყვა ლამაზი, თბილი კომენტარები .. გამოგვეხმაურა **ბმულ ჯუნიორის** გვერდის შემქმნელი ქალბატონი ბელა. და თვითონაც დებდა თავის გვერდზე ნინის სიმღერებს.. საგარეჯოს სამუსიკო სკოლაში ნინის პედაგოგია ქალბატონი ეკა გოგიშვილი. სწორედ ეკა მასწავლებელს შევჩივლე, რომ მინდოდა მიმეყვანა ისეთ პედაგოგთან, სადაც ბავშვი განვითარდებოდა, ეკა მასწავლებელმა მირჩია სამუსიკო სკოლასთან არსებული სტუდია „კამერტონი“, რომლის ხელმძღანელია თეა ხატიაშვილი. იმ დღესვე გადავწყვიტე, თეა მასწავლებლის კარებზე დავაკაკუნეთ და როდესაც კარი გაიღო, იმ წუთიდან დაიწყო ჩვენი, არ ვიცი რა დავარქვა ამ ურთიერთობას ... თეა მასწავლებელმა ნინიში დაინახა სწორედ ის, რასაც მე ვგრძნობდი ამდენი ხანი და მჯეროდა ნინის.. პირველივე შეხვედრაზე 3 უბედნიერესი ადამიანი ვიყავით... აქედან დაიწყო ყველაფერი, სული, გული ჩადო ნინის მეცადინეობაში, თავი არ დაუზოგავს. მე ვიტყვი, რომ შეუძლებელი შეძლეს ორივემ ერთად – ერთი ორგანიზმი გახდნენ ..ცალ-ცალკე ვერ ახსენებ, სადაც ნინია, იქ თეა მასწავლებელია ... ცოტას ვეჭვიანობ კიდეც... ეს ხუმრობით.. ასეთი მზრუნველი ,შრომისმოყარე, მეგობარი, პროფესიონალი ადამიანი გვიმრავლოს.. იცით, ანგარების გარეშე რამდერჯერ გვერდში დაგვდგომია... სამწუხაროდ, ნინის მამა დაეღუპა და ფინანსური პრობლემები გვაქვს .. მოგეხსენებათ, დღევანდელობაში ეს რასაც ნიშნავს?! თუ ბავშვი გინდა განვითარდეს, ფულიც უნდა გქონდეს.. სწორედ თეა მასწავლებელი და მე ერთად ვეჭიდებით ყველაფერს.. სხვათაშორის, უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო სამუსიკო სკოლის დირექტორს ქალბატონ ლიას – ნინი გაანთავისუფლა სწავლის გადასახადისგან. ნიჭს რაც შეეხება, ნინის პაპა, ანუ მამაჩემი, ჩემი ბებია, ხუთი დედმამიშვილი – ყველა მღეროდა. ბავშობაში მახსოვს, რომ დაიწყებდნენ, გუგუნებდნენ ხალხურ სიმღერებს... ალბათ ნინის აქედან გამოყვა სიმღერის ნიჭი...

ნინის საყვარელი სიმღერა? ასე ვერ გამოვარჩევთ, რომელი სიმღერაც გრძნობით სამღერია, ყველა უყვარს ძირითადად. უსმენს კლასიკურ სიმღერებს...ნინი სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის მეხუთეკლასელია. ბეჯითი გოგოა.. დამრიგებელია მანანა კუმელაშვილი, რომელიც ძალიან თბილი და მზრუნველია ნინის მიმართ.. საყვარელ საგანს ვერ გამოვყოფთ, ესე რომ ვკითხე – მიპასუხა ყველა საგანი საინტერესო და შემეცნებითიაო.

მაგრამ, რადგან მღერის, ალბათ იმიტომაც სიმღერის გაკვეთილი უყვარს. პედაგოგი თეონა გივიშვილია. ნაირა ნარინდოშვილმა მათემატიკა შეაყვარა

არ მიწყინონ სხვა მასწავლებლებმა, მაგრამ ნინის მოსწონს ნინო ქვლივიძე – ინგლისური ენის მასწავლებელი

ნინის ორი ძმა ჰყავს – გუგა და ლუკა მზრუნველი ძმები არიან, ასაკობრივი სხვაობაც აქვთ – 27 და 24 წლისები არიან და როგორც მშობლები ისე ზრუნავენ და უფრთხილდებიან, უყვართ ძალიან.

დათო მასწავლებელი... სასწაულად უკეთი შობილესი, მის პროფესიონალიზმზე შეფასებაც არ გამომივა, საოცარი ადამიანი... პირველივე რეპეტიციაზე მიხვდა ნინის ბუნებას, სწორად შეურჩია სიმღერა.. ნინი გამოუცდელი რომ იყო, ცახცახებდა რეპეტიციაზე, მაგრამ დათო მასწავლებელმა ისეთი სითბო დაანახა, ვერ აგიწერთ.

თეა მასწავლებელმა შეძლო შეუძლებელი, ორ კვირაში დაამუშავა 4 სიმღერა კასტინგზე გასატანი და იცით როგორ? ჟიური ატირეს.

მჯერა, რომ ნინი ბევრ წარმატებას მიაწვევს.

მადლობა

შპს „საგარეჯოს ჯეოჰოსპიტალსის“ ***ექიმ-თერაპევტს*** **მანანა ბურდულს** მინდა მადლობა გადავუხადო გულისხმიერი, ყურადღებიანი მომსახურებისათვის, მიუხედავად ნაკლებადკომფორტული პირობებისა

პაციენტი

ნათელა მირცხულავა

გახსენება

ალექსანდრა მიხეილის ასული მირცხულავა

11 ოქტომბერს განსაკუთრებული სევდა მწუხარება ისადგურებს შენს სახლში. წახვედი და დატოვე სევდა, რომელიც სულ უფრო მატულობს, რაც მეტი დრო გადის. გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა. ჩემს მიერ დანთებული სანთლები გინათებდეს გზას სამარადისო სასუფევლისაკენ.

შენი შვილი

ნათელა მირცხულავა

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.

ტელეფონი: 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru